მაია ოთიაშვილი
ია გაბუნია



მუსიკა
და
ბავშვები

მოსწავლის წიგნი

3



წყაროსთვალი

საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი

თავისუფლება

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი,
წილნაყარია ღმერთთანა.
თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება,
დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება.

ლექსი დავით მაღრაძის
მუსიკა ზაქარია ფალიაშვილის
ჰიმნად დაამუშავა იოსებ კეჭაყმაძემ

მაია ოთიაშვილი ია გაბუნია

მუსიკა და ბავშვები

მოსწავლის წიგნი

III კლასი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს მიერ 2018 წელს

წყაროსთვალი
2018

მუსიკა და ბავშვები

მუსიკა
III კლასი

„წყაროსთვალი“

მის: **თბილისი, გარე-კახეთის ქ. 4**
ტელ: **274 63 69; 227 30 73**
599 76 10 39; 599 30 16 84
ვებ-გვერდი: **www.tskarostvali.ge**
ელ-ფოსტა: **tskarostvali@gmail.com**

© „წყაროსთვალი“ 2018
© მაია ოთიაშვილი
© ია გაბუნია

ISBN 978-9941-9295-3-3

Maia Otiashvili
Ia Gabunia
MUSIC AND CHILDREN
2018 © “Tskarostvali“

ავტორები
მაია ოთიაშვილი
ია გაბუნია

მუსიკალური რედაქტორები
ირინე მიქაძე
ლევან მიზანდარი

ეთნომუსიკოსი
ნანა ვალიშვილი

ლიტერატურული რედაქტორები
მარინა ნონიკაშვილი
თამარ ფაშალიშვილი

მხატვარი
თინათინ მღებრიშვილი

ყდის დიზაინი
ია გაბუნია

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ზაზა გელაშვილი

აუდიო და ვიდეომასალით, ფონოგრამებითა და მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამა LMMS-ით უზრუნველყოფა
მიხეილ ვაწაძე

აუდიო რეჟისორები
მიხეილ კილოსანიძე
მიხეილ ვაწაძე

ფსიქოლოგი
ნათელა იმედაძე
ლია ქურხული

სარჩევი

გაკვეთილები:

თავისუფალი გაკვეთილი - რა არის მუსიკა 6

პლანეტების მუსიკა.....7

მხიარული ნოტები.....9

დო, რე, მი.....10

ქალაქის ხმები – 1.....11

ქალაქის ხმები – 2.....14

ქალაქის საათები.....16

სად ცხოვრობენ „მხიარული ნოტები“?.....17

თავისუფალი გაკვეთილი – „მზეო თიბათვისა“ 18

ქალაქის ხმები – 3.....19

„შინა ვორგილ“.....20

მუსიკა და ნაბიჯები.....22

კომში კომში... 23

ატრაქციონები.....24

მხიარული ნოტი – „მი“ 25

მი – ოსტინატო 27

საახალწლო სიმღერა.....28

გასეირნება ცირკში 29

„კირია ლესა“.....30

ლარჭემი.....31

მხიარული ნოტი – „სოლ“.....33

მესხური „მზე შინა“.....34

სტუმრად „ბასტი-ბუბუს“ სტუდიაში 36

მუსიკა ყინულზე 37

მხიარული ნოტი – „სი“ 38

გასეირნება ზოოპარკში.....41

ერთად ვიმღეროთ გუნდში.....42

მხიარული ნოტი – „დო“.....43

უჩა ბიჭი.....45

მხიარული ნოტი – ***.....46

ედელვაისი.....47

თავისუფალი გაკვეთილი – პატარა მუსიკოსები 48
მხიარული ნოტი – ***..... 49
თავისუფალი გაკვეთილი – პატარა ლუი..... 51
მხიარული ნოტი – ***..... 54
დათოს ფერხული 57
თავისუფალი გაკვეთილი – „ჩაკრულო“ 58
მხიარული ნოტი – ***..... 60
თოლია 62
ინტონაცია საუბრის დროს..... 63
„დო“-დან... „დო“-მდე..... 65
კლავიატურა..... 66
ჩემი ცხოვრების ერთი დღე – 1 68
თავისუფალი გაკვეთილი – უსინათლო დირიჟორი..... 69
მხიარული დღე..... 70
ჩემი ცხოვრების ერთი დღე – 3 71
ჩემი ცხოვრების ერთი დღე – 4 72
„ჩიტი და მელა“ ბლიც-ოპერა..... 74

უსმინე სამყაროს ❤ -ის ყურით

რა არის მუსიკა?

– დედამიწაზე ყველაფერი ხმას გამოსცემს: საგნები, ბუნების მოვლენები, ცხოველები, ფრინველები. განსხვავებული ხმები ისმის ქალაქში, სოფლად... ახლა უფრო შორს წავიდეთ, გავცდეთ დედამიწას, კოსმოსიდან მოვუსმინოთ ამ ყველაფერს. აქ ყველა პლანეტა თავისებურ ხმას – მუსიკას – გამოსცემს. პლანეტა ბერძნული სიტყვაა და მოხეტიალე ვარსკვლავს ნიშნავს. მზის სისტემაში სულ რვა პლანეტაა. ისინი კოსმოსში მზის გარშემო ბრუნავენ, „მღერიან“ და ქმნიან ერთიან კოსმიურ მუსიკას – ესაუბრება პატარა დირიჟორი კესოს და ტასოს, თან ტელესკოპში იყურება.

– საინტერესოა, თვითონ სიტყვა „მუსიკა“ რას ნიშნავს? – იკითხა კესომ.

– მუსიკა ბერძნულად მუზების ხელოვნებას ნიშნავს...

– ესე იგი მუსიკა მუზისაგან წარმოდგება? – იკითხა ტასომ.

– დიახ, მუზებისაგან – ძველ ბერძნულ მითოლოგიაში სიმღერის, პოეზიის, ხელოვნებისა და მეცნიერების მფარველი ქალღმერთებისაგან! ზევსისა და მნემოსინეს ასულები საბერძნეთში ოლიმპოს მთაზე ცხოვრობდნენ და მონადიმე ღმერთებს სიმღერით, პოეზიითა და ცეკვით ატკბობდნენ. სულ ცხრა მუზას მოიხსენიებენ: ევტერპე, ერატო, თალია, კალიოპე, კლიო, მელპომენე, ტერპსიქორე, პოლიჰიმნია და ურანია.

ერატო
სიყვარულის მუზა

ევტერპე
მუსიკის მუზა

ტერფსიქორე
ცეკვის მუზა

კლიო
ისტორიის მუზა

თალია
კომედიის მუზა

მელპომენე
ტრაგედიის მუზა

კალიოპე
პოეზიის მუზა

პოლიჰიმნია
ჰიმნების მუზა

ურანია
ასტრონომიის მუზა

ლექსიკონი

ზევსი – ბერძნულ მითოლოგიაში უზენაესი ღმერთი; ცის, ქუხილის, ელვისა და წვიმის ღვთაება. მრავალი ღმერთისა და გმირის მშობელი.

მნემოსინე – ბერძნულ მითოლოგიაში მეხსიერების ქალღმერთი, რომელსაც ზევსისაგან ცხრა მუზა შეეძინა.

ოლიმპოს მთა – საბერძნეთში ღმერთების სამყოფელი.

პლანეტების მუსიკა

პატარა დირიჟორი ტელესკოპში იყურება და პითაგორა-ბიჭუნას ეძახის: – ჩამოდი, ჩამოდი... გეყოფა პლანეტების მუსიკის მოსმენა, ჩვენც მოგვასმენინე და ბავშვებს III კლასში სანოტო დამწერლობა უნდა ასწავლო...

პითაგორა-ბიჭუნა კვლავ ერთ-ერთ პლანეტაზე იჯდა და კოსმოსში გაბნეულ ხმა-ბგერებს, ხმაურს, პლანეტების მუსიკას უსმენდა. დირიჟორის თხოვნა შეასრულა, ჩაიწერა პლანეტების მუსიკა და დედამიწაზე დაბრუნდა.

პატარა დირიჟორი ბავშვებს უჩვენებს **ვიდეოს** პლანეტების ხმებზე. სთხოვს, ყურადღებით მოუსმინონ და იმსჯელონ:

1. რა ხმები ესმით?
2. როგორია ეს ხმები? მხიარული თუ სევდიანი?
3. რომელი პლანეტის ხმა უფრო მოგწონთ?

გუსტავ ჰოლსტი (1874-1934)

მეორედ ჩვენებისას ბავშვები უკვე თვალდახუჭულნი უსმენენ პლანეტების ხმის ამსახველ ვიდეოს.

დირიჟორი უყვება ბავშვებს, რომ ინგლისელ კომპოზიტორ გუსტავ ჰოლსტს ძალიან აინტერესებდა მზის სისტემის პლანეტები, მათი განლაგება. უსმენდა და აკვირდებოდა პლანეტებს და მათი შთაგონებით გადაწყვიტა დაეწერა მუსიკა – **„პლანეტების ხმა“**.

შემდეგ პატარა დირიჟორი ასმენინებს **გუსტავ ჰოლსტის სიმფონიურ სიუიტას – „პლანეტების ხმა“ – მარსი.**



შეადარე პლანეტების ხმები კომპოზიტორის მიერ შექმნილ მუსიკას და იმსჯელე!

გუსტავ ჰოლსტის „პლანეტების ხმა“ – მარსის სანოტო ჩანაწერი. **დააკვირდი და გაიაზრე!**

ვიმოგზაუროთ კოსმოსში პლანეტებთან ერთად

სატურნი

დედამიწა



ვენერა

მარსი



მზე

მთვარე

იუპიტერი

პლუტონი

მხიარული ნოტები



გაიხსენე და გაიმღერე მხიარული ნოტები.

ჩვენ ვსწავლობთ ნოტების წერა-კითხვას

– აქამდე ნოტები ჩვენი საყვარელი გმირები იყვნენ: „დო“ – უფროსი ძამიკო; „რე“ – უმცროსი; „მი“ – პრინცესა; „ფა“ – სოფლის ბიჭი; „სოლ“ – მზე; „ლა“ – მთვარე; „სი“ – კუდიანი ვარსკვლავი; ჩვენც მათთან ერთად ვთამაშობდით, ვცეკვავდით, ვმღეროდით. ახლა მუსიკალური ანბანის სერიოზულად შესწავლის დრო დადგა. მანამდე კი სანოტო ნიშნების წერას მივეჩვიოთ და შევასრულოთ სავარჯიშო – „დახატე და გააფერადე ნოტები“.



მუსიკალური კომპიუტერული პროგრამა LMMS

აქტივობა 1: „**LMMS**“-ში ააჟღერეთ „მხიარული ნოტები“. თითოეული ნოტის გრაფა სხვადასხვა ფერითაა წარმოდგენილი: **დო**-თეთრი; **რე**-მწვანე; **მი**-ვარდისფერი; **ფა**-ყავისფერი; **სოლ**-ყვითელი; **ლა**-ლურჯი; **სი**-იისფერი; **დო**-წითელი; „მხიარულ ნოტებს“ მიუსადაგეთ ფერები, ააჟღერეთ, გაიმღერეთ და „ითამაშეთ“ – შეუცვალეთ ნოტებს ადგილები სურვილისამებრ.

დო რე მი

ახალი სიმღერის შესწავლა – „დო რე მი“

ტექსტი გ. ჭიჭინაძის
მუსიკა ს. მირიანაშვილის

ყოველ დილით ღიღინ-ღიღინ
იჩქარიან სკოლაში,
შვიდი და-ძმა მუსიკოსი:
დო, რე,მი, ფა, სოლ, ლა, სი.

მისამღერი:

ქანდარაზე შეგირდები
სკუპი-სკუპით სხდებიან,
ერთი კარგად მოუსმინეთ
რა ლამაზი ხმებია.

სხვა და-ძმებიც აქ სწავლობენ,
ამ მხიარულ სკოლაში.
მათაც ზუსტად ასე ქვიათ:
დო, რე,მი, ფა, სოლ, ლა, სი.

მისამღერი:

ქანდარაზე შეგირდები
სკუპი-სკუპით სხდებიან,
ერთი კარგად მოუსმინეთ
რა ლამაზი ხმებია.

მუსიკალური დიქტატორი

მელოდია – ბერძნული სიტყვაა და სიმღერას ნიშნავს.

„დასარტყამ საკრავთა ორკესტრი“